



N 37

23 აპრილი 2025 წელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას :

შპს „ტელეკომპანია მზე“-ს (ს/ნ 437 066 256) ხელმძღვანელობას :

აუდიტორული ფირმის დასკვნა

შპს „ტელეკომპანია მზე“-ს მიერ 2024 წლის ბალანსში ასახული წლიური შემოსავლის თანხების უტყუარობის შესახებ

2025 წლის 17 აპრილს განცხადებით მომმართა შპს „ტელეკომპანია მზე“-ს გენერალურმა დირექტორმა საბა მანთიძემ, რათა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სამართლებრივი აქტებიდან გამომდინარე, შემემოწმებინა ინფორმაცია და გამეცა დასკვნა შპს „ტელეკომპანია მზე“-ს მიერ 2024 წლის წლიურ ბალანსში (ფინანსურ ანგარიშგებაში) ასახული წლიური შემოსავლის თანხების სისწორის შესახებ.

შემოწმების მიზანი: შემოსავლებიდან გამომდინარე ჩარიცხული თანხების სისწორე და სინამდვილე 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. გადასახადის განაკვეთი შეადგენს 0,5%-ს.

დასკვნა:

ჩვენი აზრით, შპს „ტელეკომპანია მზე“-ს მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ბალანსში (ფინანსურ ანგარიშგებაში) ასახული 2024 წლის წლიური შემოსავლის თანხები აღრიცხულია და ანგარიშგებაში ასახულია სწორად, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ყველა მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით. (იხ. დანართი # 1).

პროცედურები და მტკიცებულებები :

მომსახურება ჩაატარა შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-253809) აუდიტორმა მალხაზ ქარცივაძემ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-956891), რომელიც ფლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2012 წლის მარტის 5-ში გაცემულ № 6/141 აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატს.

მომსახურებას წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს მომსახურების იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ შეიცავს თუ არა აღნიშნული (შემოსავლების აღრიცხვასთან დაკავშირებული) ინფორმაცია არსებით უზუსტობას.

მომსახურების გაწევა ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ბალანსის/ფინანსური ანგარიშგების (ასევე, საკასო და საბანკო ამონაწერებში) თანხების დადასტურების მიზნით.

მომსახურება აგრეთვე გულისხმობს ანგარიშგების მომზადებისას მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასების სისწორეს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული მომსახურება დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

შემოსავლების სისწორეზე პასუხს აგებს შპს „ტელეკომპანია მზე“-ს ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება დასკვნის გაკეთება მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, რომელიც დაფუძნებულია მიღებულ პრაქტიკაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული შემოსავლები ბუღალტერიას სწორად აქვს დაფიქსირებული და რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ჩატარებული პროცედურები და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დარწმუნებით გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება და გავცეთ წარმოდგენილი დასკვნა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მივედით იმ შეფასებამდე, რაც აუდიტორის მეშვეობით ჩამოყალიბებული იქნა ამ დოკუმენტის დასაწყის ნაწილში („დასკვნა“-ში).

მალხაზ ქარცივაძე



**შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს
დირექტორი/აუდიტორი/
გარიგების პარტნიორი**

შპს „ტელეკომპანია მზე“

შემოსავლები ლარში, 2024 წელი

დანართი # 1

#	თვე	ნაზარდი	შემოსავალი	დარიცხული
1	იანვარი	0	0	0
2	თებერვალი	0	0	0
3	მარტი	0	0	0
4	აპრილი	0	0	0
5	მაისი	0	0	0
6	ივნისი	0	0	0
7	ივლისი	0	0	0
8	აგვისტო	0	0	0
9	სექტემბერი	0	0	0
10	ოქტომბერი	0	0	0
11	ნოემბერი	0	0	0
12	დეკემბერი	0	0	0
			0	0



ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

ბრძანება

N 127
16/01/2017

აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს რეგისტრაციის თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინა შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს (შეწარმე სუბიექტის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის N245425883, წერილის N262380/21-11; 15.12.2016წ., იურიდიული მის: ქ. 4 ბინა 42), წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ ქარცივაძის პ/ნ 61003009165 და გარიგების პარტიორის მალხაზ ქარცივაძის SARAS-A-956891 სახით) სარეგისტრაციო განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რომლითაც მოთხოვნილია შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს რეგისტრაცია აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელია იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანების საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. დასრულდეს შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს სარეგისტრაციო წარმოება.
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.
3. შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს მიენიჭოს აუდიტორული (აუდიტური) ფირმის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-253809.
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსის
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური



მერაბ ალექსიძის #1,
საქართველო, თბილისი 0193
ტელ: (032) 2 26 11 92

#1 Merab Aleksidze st.
Georgia, Tbilisi, 0193
Tel: (032) 2 26 11 92



ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

ბრძანება

N 128
16/01/2017

აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში მალხაზ ქარცივაძის რეგისტრაციის თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინა მალხაზ ქარცივაძის (პ.ნ 61003009165, წერილის N262368/21-11; 15.12.2016წ., იურიდიული მისამართი: ხათუნია, შრიშის ქ. N 6) სარეგისტრაციო განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რომლითაც მოთხოვნილია მალხაზ ქარცივაძის რეგისტრაცია აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელებგვრდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის წესებისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანების საფუძველზე.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დასრულდეს მალხაზ ქარცივაძის სარეგისტრაციო წარმოება.
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.
3. მოქნიჭოს მალხაზ ქარცივაძეს ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-956891.
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს მალხაზ ქარცივაძეს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში ხელმოწეროსთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დაღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ: N6).

იური დილიძე

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური



შპს ეკონომიკა-აუდიტი სრული ინფორმაცია :

<https://saras.gov.ge/ka/Companies/Detail/175>

რეგისტრაციის თარიღი: 16.01.2017

სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-253809

საიდენტიფიკაციო ნომერი: 245425883

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სახელწოდება: შპს ეკონომიკა-აუდიტი

ფაქტობრივი მისამართი: ბათუმი, იმედაშვილის N 8

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ფიროსმანის, ქ. # 4 ბინა # 42

საკონტაქტო ნომერი (ძირითადი): +(995) 599 63 90 49

ვებ-გვერდი <http://www.economics-audit.ge>